5 8 5
1989

ISSN 0203—2023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო
ყველა
ქვეყნისა,
შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 10

1989

# უმაღლესი საბჭოს
# უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
# უმაღლესი საბჭოს
# უწყებები

№ 10 (591) ოქტომბერი 1989 წელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### განყოფილება პირველი


196. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლოს შექმნის შესახებ.

197. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. დ. ზ. კალანდაძის მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლედ არჩევის შესახებ.

198. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ზ. ო. წურწუმიას მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლედ არჩევის შესახებ.

199. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ყ. ა. ალაბეგოვის მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლედ არჩევის შესახებ.

200. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. ა. ალასანიას თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრად არჩევის შესახებ.

201. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. გ. მიქანაძის თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრად არჩევის შესახებ.

202. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ბოლნისის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის მოვალეობისაგან ამხ. ს. ვ. არუთინიანის ვადამდე განთავისუფლების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



203. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ჭ. ბერაძის ქ. წყალტუბოს სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლედ არჩევის შესახებ.

204. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „1989-1990 წლების საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირების სტაბილური გრძელვადიანი ნორმატივების ექსპერიმენტის წესით დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

205. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სახელწოდების შეცვლის შესახებ.

## განყოფილება მეორე

206. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

207. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. დ. რეხვიაშვილის მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

208. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ე. მ. ეფრაიმ გურის (გურიელაშვილის) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

209. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ო. მ. ვინოგრადოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

210. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

211. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ჟ. თ. რუსიასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

212. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. პ. პ. წერეთლისათვის „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

213. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. პ. ა. ხეროდინაშვილისათვის „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

214. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. დ. ჯიმშელაძისათვის „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

215. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სახალხო განათლების დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

216. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

217. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

218. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. ი. გაბელაია-სათვის „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

219. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. ი. თავიდა-შვილისათვის „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“ სა-პატიო წოდების მინიჭების შესახებ.

220. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ბ. ჭელიძი-სათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის“ საპატიო წოდების მინი-ჭების შესახებ.

221. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

### 196 მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლოს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. „მარნეულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და მარნეულის რაიონული საბჭოების გაერთიანების შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 12 სექტემბრის ბრძანებულების შესაბამისად შეიქმნას მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლო.

2. სასამართლო წყობილების შესახებ საქართველოს სსრ კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლოში დაწესდეს სამი მოსამართლის საშტატო ერთეული.

3. მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლოს და ქალაქ მარნეულის სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულებს შეუნარჩუნდეთ უფლებამოსილებანი ახლადშექმნილ მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლოში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 13 ოქტომბერი.
№ 2343—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 197 ამხ. დ. ზ. კალანდაძის მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლედ არჩევის შესახებ

სსრ კავშირის კონსტიტუციის 152-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

არჩეულ იქნეს ამხ. დავით ზაურის ძე კალანდაძე მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 13 ოქტომბერი.
№ 2344—XI

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 198 ამხ. ზ. ო. წურწუმიას მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლედ არჩევის შესახებ

სსრ კავშირის კონსტიტუციის 152-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

არჩეულ იქნეს ამხ. ზურაბ ოთარის ძე **წურწუმია** მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ო. ქაბულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ქვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 13 ოქტომბერი.
№ 2345—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 199 ამხ. ყ. ა. ალაბეგოვის მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლედ არჩევის შესახებ

სსრ კავშირის კონსტიტუციის 152-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

არჩეულ იქნეს ამხ. ყადიმ ალაბეგის ძე **ალაბეგოვი** მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ო. ქაბულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ქვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 13 ოქტომბერი.
№ 2346—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 200 ამხ. ნ. ა. ალასანიას თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრად არჩევის შესახებ

სსრ კავშირის კონსტიტუციის 152-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

არჩეულ იქნეს ამხ. ნუნუ ალექსანდრეს ასული **ალასანია** თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრად.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 13 ოქტომბერი.

№ 2347—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 201 ამხ. გ. ვ. მიქანაძის თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრად არჩევის შესახებ

სსრ კავშირის კონსტიტუციის 152-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

არჩეულ იქნეს ამხ. გიორგი ვივის ძე **მიქანაძე** თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრად.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 13 ოქტომბერი.

№ 2348—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 202 ბოლნისის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის მოვალეობისაგან ამხ. ს. ვ. არუთინიანის ვადამდე განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

სასამართლო წყობილების შესახებ საქართველოს სსრ კანონის 73-ე მუხლის შესაბამისად განთავისუფლდეს ამხ. სერგო ვაგანის ძე **არუთინიანი** ბოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლისა და ამავე სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ქვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 13 ოქტომბერი.
№ 2349—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 203 ამხ. გ. ჭ. ბერაძის ქ. წყალტუბოს სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლედ არჩევის შესახებ

სსრ კავშირის კონსტიტუციის 152-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

არჩეულ იქნეს ამხ. გივი ჭაკუნას ძე ბერაძე ქ. წყალტუბოს სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ქვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 13 ოქტომბერი.
№ 2351—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 204 „1989-1990 წლების საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირების სტაბილური გრძელვადიანი ნორმატივების ექსპერიმენტის წესით დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მარნეულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების გაერთიანებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„1989-1990 წლების საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირების სტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილური გრძელვადიანი ნორმატივების ექსპერიმენტის წესით დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 18 ოქტომბრის ბრძანებულების (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1988 წ., № 10, მუხ. 273) ნაწილობრივ შესაცვლელად დამტკიცდეს მარნეულის რაიონის ადგილობრივ ბიუჯეტში საერთო-საკავშირო სახელმწიფო შემოსავლისა და გადასახადების, 1982 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების რეალიზაციის, აგრეთვე სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობის მიმართ ფიქსირებული ოდენობით (პროცენტობით) ბრუნვის გადასახადის 1990 წლის ანარიცხების ნორმატივები:

| | |
|---|---|
| ბრუნვის გადასახადიდან | — 15 პროცენტი; |
| მუშა-მოსამსახურეთა საშემოსავლო გადასახადიდან | — 15 პროცენტი; |
| 1982 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების რეალიზაციიდან | — 10 პროცენტი; |
| სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობიდან | — 3,5 პროცენტი. |

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ო. კაზულოვა.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 30 ოქტომბერი.

№ 2372—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 205 საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სახელწოდების შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს გადაერქვას სახელი და ეწოდოს საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი.

2. „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ 1978 წლის 26 დეკემბრის კანონის 27-ე მუხლში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1978 წ., № 12, მუხ. 253) სიტყვები „საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელ-

მწიფო კომიტეტი" შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი".

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 30 ოქტომბერი.
№ 2373—XI

## განყოფილება მეორე

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 206 მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის" დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას გამოჩენილი მამაცობის, საზრიანობისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით **„საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის"** დაჯილდოვდნენ:

გივი ვარლამის ძე **გაგუა** — სოხუმის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი.

ავთანდილ ილარიონის ძე **შელია** — სოხუმის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 2 ოქტომბერი.
№ 2334—XI

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 207 ამხ. ნ. დ. რეხვიაშვილის მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამოჩენილი გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახანძრო დაცვის განყოფილების დამოუკიდებელი ზოგ. ხედრო სახანძრო ნაწილის განყოფილების მეთაური, შინაგანი სამსახურის უმცროსი სერჟანტი ნოდარ დავითის ძე **რეხვიაშვილი** დაჯილდოვდეს მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაგულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 2 ოქტომბერი.
№ 2335—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 208 ე. მ. ეფრაიმ გურის (გურიელაშვილის) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა განვითარება-გაღრმავების, ისრაელში ქართული კულტურისა და ხელოვნების პროპაგანდის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილისათვის ისრაელ-საქართველოს მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარე, ისრაელის პარლამენტის წევრი ეფრაიმ მორდეხის ძე **ეფრაიმ გური (გურიელაშვილი)** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაგულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 5 ოქტომბერი.
№ 2337—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 209 ამხ. ო. მ. ვინოგრადოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული კულტურის წინაშე დამსახურებისა და ა. მაჭავარიანის ბალეტ „ვეფხისტყაოსნის“ მაღალ მხატვრულ დონეზე დადგმისათვის ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის საბალეტო დასის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ოლეგ მიხეილის ძე **ვინოგრა-**

№ 10
ეროვნული ბიბლიოთეკა

დოვი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 12 ოქტომბერი.
№ 2342—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 210 თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ქართული საოპერო ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მუშაკებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“**

ელზა ვახტანგის ასულ **გარსევანიშვილს** — სოლისტს.
ანდრია ნიკოლოზის ძე **გეჯაძეს** — ორკესტრის მსახიობს.
თენგიზ არტამონის ძე **გოლეთიანს** — გუნდის მსახიობს.
ნუგზარ მიხეილის ძე **ნაჭყებიას** — სოლისტს.
რუქაია დავითის ასულ **ცინცაძეს** — გუნდის მსახიობს.
ომარ გრიგოლის ძე **ხოფერიას** — სოლისტს.
დავით თედორეს ძე **ჯიქიას** — ორკესტრის მსახიობს.

**„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“**

ასინეთ ანდროს ასულ **შილაკაძეს** — მთავარი რეჟისორის თანაშემწეს სალიტერატურო დარგში.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 24 ოქტომბერი.
№ 2360—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 211 ამხ. ქ. თ. რუსიასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საფინანსო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის აფხაზეთის ასსრ ფინანსთა სამინისტროს მართვის აპარატის დაფინანსების განყოფილების უფროსს ამხ. ქუქუნა თეოფილეს ასულ რუსიას მიენიჭოს **„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“** საპატიო წოდება.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 24 ოქტომბერი.
№ 2359—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 212 ამხ. პ. პ. წერეთლისათვის „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მრეწველობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი საინჟინრო საქმიანობისათვის სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „საქტრანსგაზის“ წამყვან ინჟინერს ამხ. პარმენ პორფილის ძე წერეთელს მიენიჭოს **„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 24 ოქტომბერი.
№ 2356—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 213 ამხ. ჰ. ა. ხეროდინაშვილისათვის „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მრეწველობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი საინჟინრო საქმიანობისათვის თბილისის მ. ი. კალინინის სახელობის სასხმელ მოწყობილობათა ქარხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის მთავარ ინჟინერს ამხ. ჰამლეტ ალექსანდრეს ძე **ხეროდინაშვილს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ლ. კაბულოვა.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 24 ოქტომბერი.
№ 2358—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 214 ამხ. გ. დ. ჯიმშელაძისათვის „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს ამხ. გუგული დავითის ძე **ჯიმშელაძეს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ლ. კაბულოვა.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 24 ოქტომბერი.
№ 2357—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 215 „საქართველოს სსრ სახალხო განათლების დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სახალხო განათლების სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **„საქართველოს სსრ სახალხო განათლების დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება მიენიჭოთ:

ვარშამ სედრაკის ძე **აკოფიანს** — ახალქალაქის № 4 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს.

თამარ პოლიკარპეს ასულ **ბარაბაძეს** — ხონის რაიონის სოფელ ნახახულევის საშუალო სკოლის დირექტორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ მოსეს ძე **ბასილაშვილს** — თბილისის № 7 საღამოს საშუალო სკოლის დირექტორს.

ნელი გიორგის ასულ **კეპულაძეს** — თბილისის ნ. უნაფქოშვილის სახელობის № 1 ბაგა-ბაღის გამგეს.

ნაზი პლატონის ასულ **მამალაძე-მარს** — წყნეთის ბავშვთა სახლის აღმზრდელს.

სოლომონ სამსონის ძე **მელაძეს** — თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგის მოადგილეს.

ლამარა ელისეს ასულ **მემარნიშვილს** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის რესპუბლიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მასწავლებელს.

ლიანა ტარასის ასულ **მესხიას** — ზ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის პედაგოგს.

ბუცია ბარდოს ასულ **ოკუჯავას** — ჩხოროწყუს № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ნაილა რევაზის ასულ **სალარაძეს** — ზ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის სექტორის გამგეს.

ლუდმილა ალექსანდრეს ასულ **სერდიუკს** — თბილისის № 148 საშუალო სკოლის დირექტორს.

ნინო სიმონის ასულ **სისოევას** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის რესპუბლიკური სკოლა-ინტერნატის მასწავლებელს.

ნინო დავითის ასულ **უსტიაშვილს** — საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის უფროს მეთოდისტს.

ნელი შალვას ასულ **ფერაძეს** — თბილისის № 53 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ლეილა შალვას ასულ **ცხაკაიას** — ზ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის პედაგოგს.

ოლღა ვლადიმერის ასულ **ხატიაშვილს** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის რესპუბლიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის პედაგოგს.

იზა ვლადიმერის ასულ **ჯიქიას** — № 2 რესპუბლიკური ექსპერიმენტული საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 25 ოქტომბერი.

№ 2370—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 216 „საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

არქიტექტურის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ **„საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორის“** საპატიო წოდება:

დავით ხარიტონის ძე **კომახიძეს** — საქართველოს არქიტექტორთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარეს.

თეიმურაზ გიორგის ძე **ჯაფარიძეს** — ინსტიტუტ „თბილქალაქპროექტის“ სახელოსნოს ხელმძღვანელს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. ქაბულოვა.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ქვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 25 ოქტომბერი.
№ 2369—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 217 „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ **„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება:

ნათელა ვლადიმერის ასულ **ეგორაშვილს** — სოფლის მეურნეობის აგროქიმიური მომსახურების ცენტრალური ინსტიტუტის ამიერკავკასიის ფილიალის განყოფილების გამგეს.

ვახტანგ (ბაგრატ) ათანასეს ძე **კაპანაძეს** — ზესტაფონის რაიონის სოფელ ცხრაწყაროს კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. ქაბულოვა.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ქვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 25 ოქტომბერი.
№ 2367—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**218 ამხ. მ. ი. გაბელაიასათვის „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ხობის რაიონული საავადმყოფოს თერაპევტ-ორდინატორს ამხ. მანია ივანეს ასულ გაბელაიას მიენიჭოს „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ო. კაბულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 25 ოქტომბერი.
№ 2366—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**219 ამხ. თ. ი. თავიდაშვილისათვის „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სექტორის გამგეს ამხ. თენგიზ იაკინთეს ძე თავიდაშვილს მიენიჭოს „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ო. კაბულოვა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 25 ოქტომბერი.
№ 2368—XI



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 220 ამხ. გ. ბ. ჭელიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ჟურნალისტიკის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამბროლაურის რაიონული გაზეთის „კომუნიზმის დროშის" რედაქტორს ამხ. გივი ბაგრატის ძე ჭელიძეს მიენიჭოს **„საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის"** საპატიო წოდება.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ო. კაბულოვა.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 25 ოქტომბერი.
№ 2365—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 221 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობისას გამოჩენილი ვაჟკაცობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის"** დაჯილდოვდნენ:

ალექსანდრე სერგის ძე **ბეიშანი** — ჯარის ნაწილის შტაბის უფროსი.

ვიქტორ კონსტანტინეს ძე **დობრა** — ჯარის ნაწილის განყოფილების მეთაური.

ვალერი პავლეს ძე **ზელენსკი** — ჯარის ნაწილის სამედიცინო სამსახურის უფროსი.

ვიაჩესლავ ივანეს ძე **ივანოვი** — ჯარის ნაწილის შტაბის უფროსის თანაშემწე.

ევგენი ანდრიას ძე **რიჩკა** — ჯარის ნაწილის მსროლელი.

რომან ალექსანდრეს ძე **სირიცა** — ჯარის ნაწილის უფროსი მსროლელი.

ვლადიმერ ნიკოლოზის ძე — **უდივენკო** — ჯარის ნაწილის მძღოლი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ო. კაბულოვა.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 27 ოქტომბერი.
№ 2371—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მესამე

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1989 წლის ოქტომბერში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში განხილულ იქნა საკითხები: საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში 1989 წლის მეოთხე კვარტალში განსახორციელებელ ძირითად ღონისძიებათა გეგმის თაობაზე; საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიისათვის გამოკლებული დეპუტატების ნაცვლად ცალკეული საარჩევნო ოლქების მიხედვით არჩეული საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების შესახებ მასალების გადაცემის თაობაზე; სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებულ სემინარ-ლექტორიუმებში საბჭოთა აქტივის მეცადინეობის 1989-1990 სასწავლო წლის გეგმის შესახებ; სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის სტილისა და მეთოდების გარდაქმნისათვის ჩხოროწყუს რაიონის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის თაობაზე; სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობის მითითებათა შესაბამისად სასურსათო პროგრამის განხორციელების საკითხებზე საჩხერის რაიონის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ; რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მშრომელთა წერილების, განცხადება-საჩივრების განხილვისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოქალაქეთა წერილებისა და მიღების განყოფილების მოხსენებითი ბარათის თაობაზე; 1989 წლის აგვისტო-სექტემბერში საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების რიგგარეშე სესიების შედეგების შესახებ.

### ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 24 ოქტომბრის ბრძანებულებით გარდაბნის რაიონის ჯანდრის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ მესტიის რაიონიდან გადმოსახლებულთათვის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დასახლება მიეკუთვნა სოფლების ჯგუფს და ეწოდა სოფელი ლემშვანიერა.

შეიქმნა ლემშვანიერის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ლემშვანიერაში.

ჯანდრის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი მზიანეთი, ხოლო კალინინის სასოფლო საბჭოს — სოფელი ნაგები და ისინი დაექვემდებარა ლემშვანიერას სასოფლო საბჭოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანდრის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოში სოფელ მზიანეთიდან და კალინინის სასოფლო საბჭოში სოფელ ნაგებიდან არჩეულ დეპუტატებს შეუნარჩუნდათ უფლებამოსილებანი ლემშვანიერის სასოფლო საბჭოში.

*

* *

ამავე რიცხვის ბრძანებულებით გარდაბნის რაიონის ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დასახლება მიეკუთვნა სოფლების ჯგუფს, ეწოდა სოფელი წინუბანი და დაექვემდებარა დიდი ლილოს სახალხო დეპუტატთა სადაბო საბჭოს.